დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ვეტერინარია" მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი
წევრები: ირმა არსენაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405337880

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

■ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 3 დეკემბრის N1552096 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვეტერინარია“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) ქვეპუნქტების შესრულების შემოწმება. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 17 დეკემბერს შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯში" (ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N80). მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგია და დანერგილი პრაქტიკა. ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ვეტერინარია	50	23	-	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ვეტერინარია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N 80
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	50- კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ვეტერინარია“ ხორციელდება ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა ქ. N80. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 50, პროგრამა ხორციელედება კოოპერაციული მიდგომით.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი დარგობრივი AC გარემო, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღჭურვილია პროფესიული ინვენტარით: სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის ჩონჩხებით, ცხოველთა ჩონჩხის ცალკეული ნაწილებით, მულიაჟებით (ძროხა, ღორი, ცხვარი, ფრინველი) და სხვა დარგობრივი ვიზუალური თავლსაჩინოებებით; ვეტერინარული ხელსაწყოების ნაკრებით.

წინა ვიზიტის დროს აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ,, მეტწილად შესაბამისი“. ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ შემუშავებული ჰქონდა (დირექტორის ბრძანება № 00010656 26/08/2024) სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად გათვალისწინებული იყო სწავლის შედეგების სრულად მისაღწევად პრაქტიკის ობიექტების მოძიება და ხელშეკრულებების გაფორმება, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აქტივობის შესრულებას დაწესებულება გეგმავდა სწავლის დაწყებამდე (15.08.2024 - 30.10. 2024.)

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა პროგრამის განხორციელების რესურსები. როგორც დაწესებულების, ასევე პრაქტიკის ობიექტების.

A გარემოში განთავსებულია მერხები და სკამები, მასწავლებლის კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, სამუშაო ადგილები პროფესიული სტუდენტებისთვის.

B გარემოში განთავსებულია სამუშაო ადგილი და კომპიუტერის კომპლექტი 25 პროფესიული სტუდენტისთვის, ასევე 1 სამუშაო ადგილი და 1 კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 პრინტერი/კომბაინი, 1 პროექტორი. კოლეჯს დამატებით აქვს კიდევ სამი B გარემო, რომლებიც გამოიყენება სხვა პროგრამებისთვისაც. დათვალიერდა A/C გარემო (სასწავლო / პრაქტიკული აუდიტორია თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობისთვის) , რომელიც წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის ხელშეკრულება გაფორმებულია 7 პრქტიკის ობიექტთან, სადაც გატანილია პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგები. აღნიშნული ხელშეკრულებებით სრულად იფარება პროფესიული მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგები.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ექვსი ზოგადი მოდულისა და შვიდი დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული პროფესიული განალთების მასწავლებელთა პირადი საქმეები, დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვეტერინარია" განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია, დატვირთვები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია აღნიშნული კომპეტენციები უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/ პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია" ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მტკიცებულებები ადასტურებდს შესაბამის კვალიფიკაციასა და პირის სამუშაო გამოცდილებას. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ამავდროულად თავად წარმოადგენს პროგრამის პარტნიორ ერთ-ერთ იურიდიულ პირს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი მატერიალური სახით ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო, ზოგადი და არჩევით მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. დაწესებულებას ყავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვას. ექსპერტთა

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. რეგულაციის თანახმად: იმ შემთხვევაში, თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ ეტაპზე კოლეჯში სსსმ პირები არ ირიცხებიან.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვით ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დაგეგმილ შემოსავლებს. რენტაბელობის ზღვარი დათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *დანართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ;*
- *პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლების,პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები;*
- *დანართი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;*
- *პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტები;*
- *გასაუბრების შედეგები;*
- *ვიზუალური დათვალიერების შედეგები;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ვეტერინარია“ დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, პროფესიული სტუდენტების ყოველკვირეული დატვირთვა. განსაზღვრულია საათები დამოუკიდებელი და საკონტაქტო სწავლებისა და შეფასებისთვის. დაცულია პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სალექციო ცხრილების და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. დაწესებულებაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, შესაბამისად ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეემოწმებინათ სასწავლო გეგმის, კალნდარული გეგმისა და მეცადინეობების შესაბმისობა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კოლეჯის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება. ვიზიტის დროს, პერსონალთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. რეგულაცია გულისხმობს გეგმის შედგენას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ინდივიდუალური გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს გაუწევენ შესაბამისი პირები.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც **„მეტწილად შესაბამისი**", ვინაიდან პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ არ იყო საკმარისი და ვერ უზრუნველყოფდა პროგრამიმს შედეგების სრულად მიღწევას.
მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია" თანახორციებში ჩართული პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები :

1. შპს „ახალი ხორცი 2018"- თეთრიწყაროს რაიონის ბორბალოს თემის ტერიტორია. აღნიშნული ხელშეკრულების (N1406, 30.09.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 25 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის: ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი; ცხოველთა დაკვლის შემდგომი კონტროლი.ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2033 წლის 15 აგვისტომდე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ინდ.მეწარმე „გიორგი პაქსაშვილი“- აღნიშნული ხელშეკრულების (N10867, 29.08.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 10 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის ცხოველთა მკურნალობა;ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა; შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნისტიკა და მკურნალობა;ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2033 წლის 15 აგვისტომდე;

3. ინდ.მეწარმე ირადა ალიევა“- (ქ.მარნეული,ნარიმანოვის ქ. 1) აღნიშნული ხელშეკრულების (N11120, 2.09.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 10 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულისთვის ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2033 წლის 15 აგვისტომდე;

4. ინდ.მეწარმე „კოჩალიძის ფერმა“ აღნიშნული ხელშეკრულების (N11460, 4.09.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 25 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები; ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია; ვეტერინარი ქირურგის ასისტირება; ცხოველთა მკურნალობა ;ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა.
ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2033 წლის 15 აგვისტომდე;

5. ინდ.მეწარმე „ნათია ბერიძე“ (ქ.თბილისი,ნუცუბიძის ქ.64) აღნიშნული ხელშეკრულების (N11458, 4.09.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 10 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები; ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია; ვეტერინარი ქირურგის ასისტირება; ცხოველთა მკურნალობა ;ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა; შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი,კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.
ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2033 წლის 15 აგვისტომდე;

6. შპს „აშენდი აგრო საქართველო“- აღნიშნული ხელშეკრულების (N18661, 18.11.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ჯამში 50 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის: ცხოველთა კვება; ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა; პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება;ცხოველთა იდენტიფიკაცია რეგისტრაცია.
ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2025 წლის 15 აგვისტომდე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. შპს ხორცკომბინატი - (ქ.გორი,შინდისის გზატკეცილი მე-3-ე კმ.)აღნიშნული ხელშეკრულების (N10931, 30.08.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 10 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის: ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი; ცხოველთა დაკვლის შემდგომი კონტროლი.ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2033 წლის 15 აგვისტომდე;

აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მათ შეუძლია მიიღონ და მომსახურეობა გაუწიონ კლინიკური და პროფესიული მოდულებისთვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელების მიზნებისთვის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სასწავლო სივრცე და პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით, რაც დადასტურდა დოკუმენტებით და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრებით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ორ პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებას, რომლებმაც დაადასტურეს ურთიერთთანამშრომლობის მზაობა.
დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (25/07/2024. N9238) ფიზიკურ პირთან, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხო გადაადგილებას იმ პრქტიკის ობიექტებზე, რომელიც მდებაროებს ქ.გორშსა და ქ. თბილისში.
პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე უსაფრთხო ტრანსპორტირებას,რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები,ასევე შემუშავებულია უსაფრთხოების წესები და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია კოლეჯი თანამშრომლებს რეგულარულად უტარებს საინფორმაციო შეხვედრებს და ინსტრუქტაჟებს. ვიზუალური დათვალირებითაც დადგინდა, რომ კოლეჯში დამონტაჟებულია მანიშნებლები, კვამლის დეტექტორები, სათანადო ადგილზე განთვსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მარნეულის სამედიცინო კოლეჯის უსაფრთხოების წესები;
- მარნეულის სამედიცინო კოლეჯის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გაფორმებული ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ხელშეკრულება სატრანსპორტო მომსახურების შესახებ;
- ვიზულური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. გამოცდაზე უნდა გავიდნენ ის სტუდენტები, ვინც არ გამოცხადდა გამოცდაზე ან არ დაუდასტურდათ სწავლის შედეგი. სტუდენტებს ინფორმაცია განმეორებითი გამოცდის თარიღის შესახებ მიეწოდებათ პირადად, ტელეფონით, სოციალური ქსელით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურაც. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირი და უთანხმებს პროგრამის ხელმძღვანელს. შეფასება ხორციელდება ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. პროგრამაზე სასწავლო პროცესი დაიწყო 25 ნოემბერს , ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოდულები, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება პრაქტიკულად არ იყო ჯერ ჩატარებული .

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“ აღნიშნული წესის მესამე მუხლი არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის შემადგენლობაში არ შედის შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტის ავტორი ან/და ინსტრუმენტით მოსარგებლე შემფასებელი). შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. წინასწარ შემუშავებული ფორმის საშუალებით ვერიფიკაციის პროცესის შედეგად ეტაპობრივად მოგროვებული ინფორმაცია აისახება ვერიფიკაციის ანგარიშებში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის ურუნველყფოსი სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს/განმახორციელებელს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კოლეჯში არსებული რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც,განმახორციელებელი პირი პროფესიულ სტუდენტებს ყოველთვის აძლევს უკუკავშირს, ხდება მასწავლებლებს შორის შეფასების შედეგების განხილვა. მიღებულ შედეგებს დაწესებულება იყენებს შემდგომი განვითრებისათვის. **ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი;
- ვერიფიკაციი მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
15.01.2025წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: